პედიატრიის N 1 დეპარტამენტი

პროფესორი მაია ხერხეულიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ემერიტუსი მანანა ჟვანია

ასოცირებული პროფესორი ქეთევან გოგბერაშვილი

ასოცირებული პროფესორი დიმიტრი აბელაშვილი

პედიატრიის N 1 დეპარტამენტი

ასისტენტ-პროფესორი მანანა კობახიძე

ასისტენტ-პროფესორი ნინო კაპანაძე

პედიატრიის N 1 დეპარტამენტი

ბავშვთა სნეულებათა N.1 კათედრა დაარსდა 1931 წელს ბავშვთა ჰიგიენის კათედრის სახელწოდებით. 1933 წელს მას ეწოდა ბავშვთა სნეულებათა კათედრა, ხოლო 1935 წელს - ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრა.

ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის პირველი გამგე იყო პროფესორი პიმენ ნანეიშვილი. 1945 წლიდან 1958 წლამდე კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი ირაკლი რცხილაძე, 1958 წლიდან 1972 წლამდე - პროფესორი ვლადიმერ თოხაძე, 1972-1993 წლებში კათედრის ხელმძღვანელია პროფესორი იოსებ კვაჭაძე, ხოლო 1993 წლიდან 2006 წლამდე პროფესორი მანანა ჟვანია. კერძო პედიატრიის ბავშვთა სნეულებათა მიმართულება შეიქმნა 2006 წელს. მიმართულების ხელმძღვანელი 2006 წლიდან 2011 წლამდე იყო სრული პროფესორი ნ. მანჯავიძე. 2011 წლიდან 2018 წლამდე პედიატრიის N1 დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი მანანა ჟვანია, რომელიც ამჟამად დეპარტამენტის ემერიტუსია. 2018 წლიდან დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი მაია ხეხეულიძე.
მიმართულების სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულება სხვადასხვა დროს იყო: რევმატოლოგიური დაავადებების, რესპირაციული პათოლოგიის, ალერგიის, ბავშვთა ნევროლოგიის, ბავშვთა ტუბერკულოზის, ყბაყურისა და ტუბერკულოზური მენინგიტის აქტუალური საკითხების კვლევა. დიდი ყურადღება ეთმობოდა თანდაყოლილი ინფექციების, ნაწლავთა მალაბსობციის ფუნქციის დარღვევით მიმდინარე დაავადებების შესწავლას.
დეპარტამენტეტის პროფესორების ხელმღძვანელობით მიმდინარეობდა არაერთი სამეცნიერო კვლევა, მათ შორის: დროულ და დღენაკლულ ახალშობილებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის შესწავლა; ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასთან ასოცირებული პნევმონიისა და სეფსისის მკურნალობის შემუშავება; ციტომეგალო და ჰერპესვირუსული, ქლამიდიური ინფიცირების კლინიკო-იმუნოლოგიური, ინსტრუმენტალური კვლევის პარამეტრების დადგენა ახალშობილებში და მოგვიანებითი შედეგების დიაგნოსტირება. ასევე ახალშობილობის პერიოდის თავისებურებების შესწავლა დედის თირეოიდური პათოლოგიისა და იოდის დეფიციტის შემთხვევაში. მწვავე რევმატული ცხელების, სისტემური ვასკულიტების, იუვენილური რევმატოიდური და რეაქტიული ართრიტების პათოგენეზის, კლინიკური მიმდინარეობის, დიაგნოზის, დიფერენციალური დიაგნოზის საკითხების შესწავლა და მკურნალობის მეთოდების შემუშავება; ასევე იშვიათი დაავადებების: სისტემური წითელი მგლურის, სისტემური სკლეროზისა და იუველინური დერმატომიოზიტის კრიტიკული სიტუაციის მკურნალობის პრინციპების დახვეწა და ამ დაავადებების კლინიკურ-ეპიდემეიოლოგიური მაჩვენებლების დადგენა საქართველოში მცხოვრებ ბავშვებში; დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებული ბავშვების მკურნალობის დიფერენცირება, ვისცერალური ლეიშმანიოზის კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებისა და დიაგნოსტიკის საკითხების შესწავლა ბავშვებში; ნიუიორკის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ჰელიკობაქტერიული კვლევის ცენტრთან თანამშრომლობა ქართველ ბავშვთა პოპულაციაში პეპტიკურ-წყლულოვანი დაავადებების Helicobacter pylori-ს ასოცირება, ამ დაავადებების კლინიკური გამოვლინების შესწავლა და კორექციის გზების დასახვა; ასევე სასუნთქი სისტემის არასპეციფიკური დაავადებების მკურნალობა საქართველოში მცხოვრებ და ასევე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ბავშვებში.

პედიატრიის N 1 დეპარტამენტი

დეპარტამენტში ფუნქციობს დიპლომამდელი სასწავლო პროგრამა პედიატრიაში - მედიცინის ფაკულტეტის ქართული, ინგლისური და რუსულენოვანი სექტორების მე-4, სტომატოლოგიური ფაკულტეტის მე-3 და ფიზიკური რეაბილიტაციის ფაკულტეტის მე-2 კურსების სტუდენტთათვის;
სარეზიდენტო პროგრამა - ,,პედიატრია'', მოდულები: ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგია, ,,პედიატრიული პაციენტების მართვა სტაციონარში'', ,,განვითარებისა და ქცევის პედიატრია' „მოზარდთა მედიცინა", „ამბულატორიული და პრევენციული პედიატრია"'.

დეპარტამენტის სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ბავშვთა პულმონოლოგიის, ნეონატოლოგიის, განვითარებისა და ქცევის პედიატრიისა და რევმატოლოგიის აქტუალური საკითხების შესწავლა.
დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული უწყვეტი სამედიცინო განათლების სემინარების წარმართვაში, საქართველოს პედიატრთა და ნეონატოლოგთა ასოციაციის, პედიატრთა აკადემიისა და რესპირაციული საზოგადოების საქმიანობაში.

ამჟამად დეპარტამენტში ხორციელდება 2 სადოქტორო პროგრამა: 1. „ჰოსპიტალური და ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასთან ასოცირებული მძიმე პნევმონიის ეტიოლოგია, რისკ-ფაქტორები და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა მულტიპროფილურ პედიატრიულ სტაციონარში" (პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი მაია ხერხეულიძე); 2. "სისხლში D ვიტამინის შემცველობა და მისი გავლენა სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების სიხშირესა და სიმძიმეზე ბავშვებში"; (პროექტის თანახელმღძვანელი- ასოცირებული პროფესორი ქ. გოგბერაშვილი).

პედიატრიის დეპარტამენტი N1-ის პედაგოგიური პერსონალია: პროფესორი მაია ხერხეულიძე, ემერიტუსი მანანა ჟვანია; ასოცირებული პროფესორები: ქეთევან გოგბერაშვილი, დიმიტრი აბელაშვილი; ასისტენტ-პროფესორები: მანანა კობახიძე და ნინო კაპანაძე; კათედრის ლაბორანტი - ჯულიეტა კიკვაძე, მოწვეული პედაგოგები: ქეთევან მაყაშვილი, ნინო გოგუაძე, ჯულიეტა კიკვაძე, მარიამ ღუღუნიშვილი, ნინო სანოძე.